კიევის "დინამო" ჩემპიონია!
ვერცხლის მედლები - "სპარტაკს"!
ბრძოლა მესამე ადგილისთვის გრძელდება

გუშინ მოსკოვში, "დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 32-ე ტურის კალენდარული მატჩი ცსკა-სა და თბილისის "დინამოს" შორის.

თბილისელები მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან. ამ ეტაპზე გუნდის ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარიღა გამოვიდა სათამაშოდ, და, რა თქმა უნდა, თავისი ნამდვილი შესაძლებლობაც ვერ აჩვენა. აღრე ტრავმირებულ ყიფიანს და კოსტავას დაემატნენ ჩივაძე, გუცაევი, ხინჩაგაშვილი, თვით თამაშის დროს დაშავდა სულაქველიძეც...

მატჩის დასაწყისში ერთგვარი უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ და დინამოელები უმთავრესად სწრაფი კონტრშეტევებით მოქმედებდნენ. ამის შედეგად ცსკა-ს კართან სახიფათო მომენტები შექმნეს სვანაძემ, დარასელიამ, 25-ე წუთზე ბურთის გატანა შეეძლო შენგელიას, შემდეგ მეკარე ნოვიკოვმა მოიგერია სულაქველიძის ძლიერი დარტყმა. 45 წუთმა უშედეგო ბრძოლაში განვლო.

69-ე წუთზე მატჩის არბიტრმა მ. სტუპარმა (ივანო-ფრანკოვსკი) მოსკოველთა კარში დანიშნა 11-მეტრიანი. დარტყმა შეასრულა შენგელიამ, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

73-ე წუთზე კი დინამოელმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს თავიანთი მეკარისთვის ბურთის გადაცემის დროს. აქ ყველას დაასწრო ჩერენკოვმა, გადააწოდა ბურთი ტარხანოვს, რომელმაც იგი ბადეში გაგზავნა - 1:0.

დარჩენილ დროში დინამოელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ანგარიშის შეცვლა.

თბილისის "დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, მუჯირი, სულაქველიძე (მელიქია), ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, ჟვანია, ჩელებაძე, კაკილაშვილი, შენგელია.

დუბლიორთა მატჩი მოიგეს არმიელებმა - 1:0.

თბილისის "დინამოს" საკავშირო ჩემპიონატში სათამაშო აქვს კიდევ 2 მატჩი - "ტავრიასთან" და "ყუბანთან". ამასთან ორივე შეხვედრა გაიმართება თბილისში. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა მოიგონ ორივე ეს შეხვედრა და მათ ბრინჯაოს მედლებს ვერავინ შეეცილება.

"ლელო", 1 ნოემბერი 1981